მენორა

ДАМОУКИДЕБЕЛИ ЕБРАУЛИ ГАЗЕТИ САКАРТВЕЛОШИ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნოემბერი (ხეშვანი) №14 (372) (5772) 2012

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ისრაელის ელჩი აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს პირველ სამუშაო დღეს შეხვდა

30 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი იუვალ ფუქსი აჭარაში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. ბატონი ფუქსი აჭარის ახლად არჩეული მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ არჩილ ხაბაძეს პირველივე სამუშაო დღეს, გვიან საღამოს შეხვდა, ჰოსტზე დანიშვნა მიულოცა და ისრაელში მიიწვია.

მხარეებმა აჭარას, ისევე, როგორც სრულიად საქართველოსა და ისრაელს შორის ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს, ამას გარდა, ბატონი ხაბაძე და ბატონი ფუქსი შეთანხმდნენ, რომ რამდენიმე კვირაში ისრაელის ელჩი ოფიციალური ვიზიტით კიდევ ერთხელ ეწვევა რეგიონს.

ბათუმში სტუმრობისას ბატონმა იუვალ ფუქსმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა ბათუმის მერთან, ბატონ ჯემალ ანანიძესთან, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მეუფთისთან, ბატონ ჯემალ პაქსაძესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

აჭარაში ვიზიტის პირველ დღეს ისრაელის ელჩი ბათუმის ებრაულ თემს შეხვდა.

დღეს ნომერში:

ყალბი ხელმოწერების დემონსტრაცია გრძელდება
კათოლიკური სამყარო იუდაიზმის დდეს აწესებს. გვ. 2

მიხეილ მიქიელაშვილის ახალი გადანყვეტილება
ავთანდილ ნიკოლაიშვილი განაგრძობს თავის რუბრიკას – ამჯერად იაკობ გოგებაშვილისა და ებრაელობის ურთიერთობაზე გვესაუბრება. გვ. 3



ქართული ებრაელობა. წარსულიდან მომავლისკენ, ანუ როგორ იქმნებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი

ვისაუბროთ საქართველოს ებრაელობის საგანძურის მომავალზე გვ. 4-5

გამოჩენილი თეოლოგი ადინ შტაინზალცი შაბათის წმინდაყოფაზე. გვ. 6



საქართველოს მთავარი რაბინი აბიშაი ბათაშვილი მიიჩნევს, რომ... გვ. 7

გურამ ბათიაშვილის პიესის „კოტე მარჯანიშვილის“ პრემიერა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. გვ. 8

ისრაელში და ისრაელის ირგვლივ

იუდაიზმის დღე

ვატიკანში გაიმართა პლენარული სხდომა იუდაიზმთან რელიგიური ურთიერთობის შესახებ, რომლის ყურადღების ცენტრში იყო ქრისტიანულ-იუდეური დიალოგის საკითხები და ქრისტიანულ სამყაროში „იუდაიზმის დღის“ შემოღება.

ორგანოს, რომელიც რომის პაპის საბჭოში ქრისტიანული ერთობის განმტკიცების ჩარჩოებში მოქმედებს, მეთაურობს ვატიკანის დისტრაკციის მდივანი — კარდინალი კურტ კოხი. შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ პირველი ქვეყნები, სადაც „იუდაიზმის დღე“ 2013 წლის 17 იანვარს გაიმართება, იქნება ავსტრია, იტალია, პოლონეთი, ჰოლანდია და შვეიცარია, იტყობინება საიტი katolik.ru. პლენარულ ანსამბლეაზე ასევე ისაუბრეს, ამ ქვეყნების სიის გაფართოებაზე, რაც ხელს შეუწყობს სხვა რელიგიებისა და კულტურების მიმართ პატივისცემის გაძლიერებას.

ისრაელელების 70% შაბათ დღეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაშვებას ითხოვს

როგორც IzRus იტყობინება კომპანია „გეშერის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა; ისრაელელები ძალიან განსხვავებულად აღიქვამენ რელიგიას. ერთი მხრივ, მხოლოდ 4%-ია თანახმა, რომ ორთოდოქსებმა არ იმსახურონ ჯარში, 61% თანახმაა სამოქალაქო ქორწინებაზე, 70% კი ითხოვს შაბათ დღეს სამოქალაქო ტრანსპორტის მოძრაობას. მეორე მხრივ, გამოკითხულთა უმრავლესობა თანახმაა ფესახის დღეებში იყიდებოდეს ხამეცი და აიკრძალოს ღორების მოშენება.

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი ბერლინში

24 ოქტომბერს გერმანიის დედაქალაქში გაიხსნა ჰოლოკოსტის მსხვერპლი ბოშების მემორიალი, იტყობინება jewish.ru „რუსულ გაზეთზე“ დაყრდნობით.

ნაცისტებმა ამ ნაციონალური უმცირესობის მილიონნახევარი ადამიანი გაანადგურეს. მემორიალი, რომელიც ისრაელელმა სკულპტორმა დანი კარავანოვმა შექმნა, დაიდგა ბერლინის ცენტრში, რეიხსტაგის ისტორიული შენობის გვერდით, სადაც ამჟამად ბუნდესტაგის სხდომები მიმდინარეობს. მემორიალი წარმოადგენს მრგვალ შადრევანს, რომლის შუაგულში მოთავსებულია წყალში ჩაფლული ქვის ფილა.

მემორიალზე დატანებულია ლექსის „ოსვენციმი“ ტექსტი ინგლისურ და გერმანულ ენებზე. მისი ავტორია იტალიელი მუსიკოსი და კომპოზიტორი სანტინო სპინელი. მემორიალის გახნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოჰიმ გაუკმა, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, ბერლინის მერმა კლაუს ვოვერაიტმა, ბოშების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ რომან როზემ. ცერემონიას ჰოლოკოსტის მსხვერპლი ასობით ვეტერანი ესწრებოდა.

რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი ებრაელია

კომპანია „რენოვას“ მმართველი ვიქტორ ვეკსელბერგი ამჟამად რუსეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლება. ამის შესახებ, „იზრუსის” ცნობით, „იტარ-ტასი“ იტყობინება. 55 წლის ვეკსელბერგის ქონება 1,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 18 მილიარდი შეადგინა. მეორე ადგილზეა ალიშერ უსმანოვი (17,3 მილიარდი დოლარი).

ისრაელი რუსეთის საშიშროება?

24 ოქტომბერს სახელმწიფო დუმაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მეთაურის ანატოლი სერდიუკოვის გამოსვლის კომენტირებისას, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთისთვის საომარი საშიშროება ნარჩუნდება. „ძირითადად სამხრეთით - არაბები, ისრაელი, პალესტინა, ირანი, ავღანეთი, რადგან ყველაფერი ეს ჩვენს საზღვრებთან ხდება, ბუნებრივია, სამხრეთ მიმართულება უნდა გავამაგროთ. საჭიროა თანამედროვე იარაღი...“

მსგავსი შინაარსის განცხადება ლდპ-ს ლიდერს პირველად არ გაუკეთებია. თავის გამოსვლებში იგი ებრაულ სახელმწიფოს საკმაოდ ხშირად ახსენებს. ზოგიერთი მათგანი ორატორის ადეკვატურობის ეჭვს იწვევს, სხვები კი სინამდვილეს არ შეესაბამება. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ „უახლოეს ორ თვეში ისრაელი ირანს დაარტყამს...“ ერთი თვის შემდეგ „რტრ“-თან ინტერვიუში განაცხადა: „ისრაელი შეიჭრა ლიბანში, დაარბია მთელი ქვეყანა იმის გამო, რომ იქ კაპრალი მოუკლეს“. 2009 წლის დეკემბერში ლდპ-ს ლიდერმა კვლავ გააფრთხილა საზოგადოებრიობა, რომ ისრაელმა ირანზე თავდასხმის შესახებ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ უფრო ექსტრავაგანტული იყო მისი ანალიზი გილად შალითის გამოხსნის გეგმის შესახებ. „მათ ეს სპეციალურად გააკეთეს. ეს არაბების დაცინვაა. ერთი ებრაელი კაპრალი ათას თქვენნაირში გავცვალეთ. ეს ნიშნავს თქვენ ნაგავი, მატლები ხართ“, განაცხადა ჟირინოვსკიმ 2011 წლის დეკემბერში „რტვ“-სთან ინტერვიუში. იგი ამტკიცებდა, რომ ამ ქმედებით ისრაელი არაბების გაბრაზებას ცდილობდა. „ჩანაფიქრი სწორედ ამაშია. მათ მდგომარეობის გამწვავება სურთ. რისთვის? იმისთვის რომ სურთ რეგიონში არეულობა დათესონ და ამოტუმბონ ნავთობი. ყველა მოქმედებაში ფულია მთავარი...“ — ამბობს ჟირინოვსკი.

მიხეილ მირილაშვილი „ზაკას“ საპატიო თავმჯდომარედ რჩება

ისრაელელმა მაგნატმა მიხეილ მირილაშვილმა გადაწყვიტა ისრაელელი მოხალისე გადამრჩენთა ორგანიზაციის „ზაკას“ სამეურვეო საბჭოს მეთაურის პოსტი. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის ეჰუდ მეში-ზახევის სიტყვებით, მირილაშვილი თვლის, რომ სამი წლის შემდეგ, დროა ეს პოსტი სხვას გადასცეს. მაგნატის შემცვლელის სახელი ზამთარში გახდება ცნობილი, აღნიშნა მეში-ზახავმა „იზრუსთან“ საუბრისას.

„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი ჩვენ არ გვტოვებს, იგი დარჩება „ზაკას“ საპატიო თავმჯდომარედ და, როგორც ყოველთვის, ყველაფერში დაგვეხმარება, - განაცხადა მან. როგორც პორტალი „იზრუსი“ იტყობინება, მირილაშვილმა საპატიო თავმჯდომარის პოსტი 2010 წლის 21 თებერვალს, რეპატრიაციიდან ერთი წლის შემდეგ, დაიკავა.

გაერომ „ზაკა“ ჰუმანიტარულ ორგანიზაციად ცნო, იგი ტერაქტებსა და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს დაშავებული ადამიანების გადარჩენითაა დაკავებული. „ზაკა“ 1989 წელს იერუსალიმში შეიქმნა, ახლა კი მის რიგებში დაახლოებით 1500 მოხალისე ფიქსირდება. „ზაკა“ ატარებს სამაშველო სამუშაოებს ისრაელსა და უცხოეთში, ბოლო წლებში დსთ-ს ქვეყნებში მისი ფილიალებიც გაიხსნა.

(დასასრული მერვე გვერდზე)

ყალბი ხელმოწერების გამო

14 ნოემბერი, ინტერნეტ-ტელევიზია „ობიექტივი“. სტუდიაში არიან: ჯ. ხუხაშვილი, დ. ბალუაშვილი, ჯ. კვანტალიანი, მ. ჭიაურელი, გ. თორაძე, დ. გაბუნია, რ. მესენგისერი, დ. ჭელიძე, გ. პაატაშვილი და სხვ. ხუხაშვილი უძღვება გადაცემას, რომლის მიზანია ქართველ ხალხს ჩაგონოს, თუ როგორ ბღალავს გ. ბათიაშვილი ქართულ-ებრაულ ურთიერთობას, ბათიაშვილი რაოდენ მტერია ქართველი ხალხისა. ბათიაშვილის „ჩასაქოლად“ იშველიებენ ჯ. აჯიაშვილის, დ. ბაზოვის, გერშონ ბენ-ორენის, სხვათა ციტატებს.

ამას წინ უძღოდა ხუხაშვილის 19 მაისის პრეს-კონფერენცია, ხუხაშვილის სატელევიზიო ჩართვა ისრაელიდან 23 მაისს ჩემი პრეს-კონფერენციის შემდეგ, ხუხაშვილთან ინტერვიუ გაზეთ „ალიაში“ (14 ივნისი), ინტერვიუ პორტალ პირველთან, ხუხაშვილთან და კვანტალიანთან ინტერვიუ „კვირის ქრონიკაში“ (22 აგვისტო), უთვალავი პუბლიკაცია „ობიექტივში“.

ყველგან საუბარია ზემოთნახსენებ საკითხებზე. ისიც ითქვა, რომ ბათიაშვილი მოღალატეა და საქართველოს ძაგებისათვის მასონები უხდიან ფულს.

ამას ასევე წინ უძღოდა გაზეთ „ობიექტივში“ დაბეჭდილი ათეულობით პიროვნების განცხადება, რომლითაც კ. მარჯანიშვილის თეატრს უკრძალავდნენ ბათიაშვილის პიესის განხორციელებას, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს კი მიმართავდნენ გაანთავისუფლეთ ბათიაშვილი კონგრესის თანათავმჯდომარეობიდანაო.

„მენორა“ გაესაუბრა ზოგიერთ მათგანს.

— „ობიექტივში“ თქვენ მოხსენიებული ხართ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც თითქოსდა, პროტესტს გამოთქვამენ გ. ბათიაშვილის პიესის კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმის გამო.

ნელი ჩაფიძე (პროფესორი): მე ხელი არაფერზე მომიწერია. როდესაც ჯამლეტმა კონფლიქტის ამბავი მიამბო, აღვშფოთდი და ვთქვი, რომ გურამისგან ამას არ მოველოდი. მან ჯამლეტი ციხისთვის გაიმეტა და ეს კარგი საქციელი არ არის. მაგრამ ეს ფაქტი სრულიად არ უხსნის პასუხისმგებლობას ჯამლეტს, რომ მან ჩემი სახელი და გვარი ნებართვის გარეშე გამოიყენოს. არსად მომიწერია ხელი. მე კულტურულოგი ვარ და როგორ ვიტყოდი, რომ გურამის პიესა არ დადგმულიყო? ბათიაშვილის პიესა „ვალი“ ჩემი უსაყვარლესი სპექტაკლია. განსაკუთრებით ქუთაისის დადგმა მომწონს. გურამი ძალიან ნიჭიერი და კარგი ადამიანია და აჯობებს, რაც უფრო ლმობიერად და აკადემიურად მოიქცევა. მარტო პიესა „ვალი“ რომ დაეწერა და მეტი არაფერი გაეკეთებინა, ესეც საკმარისი იქნებოდა.

დავით ჯანგველაძე (ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი): ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რაც ჯამლეტ ხუხაშვილისგან ამ კონფლიქტის შესახებ მოვისმინე და ჩემი გულისტკივილი სიტყვიერად დავაფიქსირე. ეს სასიამოვნო ფაქტი ნამდვილად არ არის. მე არ ვიცი ეს უშუალო დაპირისპირება იყო ორ ადამიანს შორის, ან საიდან გაღვივდა ეს შური, მაგრამ რა უფლება მაქვს, ბატონ გურამ ბათიაშვილის წინააღმდეგ რომელიმე წერილზე მოვაწერო ხელი. ან ვთქვა, რომ ასე არ უნდა გაეკეთებინა. მაგრამ როდესაც სულიერ საგანძურს და ქართულ კულტურას ეხება საქმე, აქ ჩვენი სიტყვა ყველას გვეთქმის. ვფიქრობ, რომ ეს შუღლი ორ ადამიანს შორის დიდი ხნის წინ დაგროვდა. ებრაელმა ხალხმა ებრაულ კულტურას უნდა მოუაროს და ქართველმა — ქართულს. ამავე დროს, არავის აქვს უფლება ჩემი სახელი და გვარი ვინმეს წინააღმდეგ ჩემი თანხმობის გარეშე გამოიყენოს. მინდა ორივე მხარეს ვთხოვო, რომ ეს პრობლემა მოაგვაროს, რადგან ამ დაპირისპირებაში ჩვენს — ქართული კულტურის მოღვაწეთა სახელებს იყენებენ. ეს ნამდვილად სირცხვილია. როგორ ვიტყოდი, რომ ბატონ გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით სპექტაკლი არ დადგმულიყო? ეს დიდი აბსურდია და ძალიან გულსატკენია, რომ ჩვენი სახელები და გვარები ასე დაფიქსირდა.

ნინო შავაძე

Уважаемый Гурам, Разрешите сообщить, что я не подписывал какой-либо документ, связанный с Вашей театральной деятельностью. С уважением,
Ариель Левин

როგორც რედაქციისათვის გახდა ცნობილი, მსახიობმა **დ. ხუბელაშვილმა** (ისრაელი) გამოთქვა პროტესტი იმის გამო, რომ ხელმომწერთა შორის მისი გვარიც გახლავთ მოხსენებული. ამასთან დაკავშირებით „ობიექტივში“-ს რედაქციაში წერილიც გავგზავნეო, თუმცა, მისი პროტესტი არ გამოქვეყნებულა.

ამგვარ ხელმოწერას კატეგორიულად უარყოფს ბიზნესმენი **ნატო კვანტალიანი**.

თბილისის დიდი ბეით ქნესეთის გაბაი **ფირუზ კოჩოგაშვილი** უარყოფს ორივე ხელმოწერას: როგორც სემ კონგრესში გაგზავნილ წერილზე, ასევე სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებულს.

სემ კონგრესში გაგზავნილ წერილზე თავის ხელმოწერას უარყოფს **ბორის თეთრუაშვილი**.

ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა. ჩვენ აქ შევჩერდით. მკითხველი დაგვეთანხმება, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ აღიძრას საქმე ყალბისმქნელობის გამო. მაგრამ ჩვენ კვლავ თავს ვიკავებთ. კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია, ძვირფასო მკითხველო!

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

იაკობ გოგებაშვილი

(წერილი მერვე)

იაკობ გოგებაშვილის (1840-1912 წწ.) ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ხალხებთან დიდი პედაგოგისა და მწერლის დამოკიდებულებასაც უნდა მიექცეს. ეს საკითხი მისი მოქალაქეობრივი თვალთახედვის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის გონივრული მოგვარების გარეშე მას ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების სწორი გზით წარმართვა ვერ წარმოედგინა.

ი. გოგებაშვილი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველი ხალხები ეროვნული თვალსაზრისით დევნილ-შევიწროებული არასოდეს ყოფილან და ისინი ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც თავად ქართველები. ასე ხდებოდა როგორც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში, ისე შეჭირვების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად „ქართველები ერთმანეთს ხშირად უსამართლოდ და უდიერად ექცეოდნენ, იაკობის მართებული შეფასებით, ისინი სხვა ტომის ხალხებს მუდამ ხათრით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. და ეს პატივისცემა და ხათრი მით უფრო მატულობდა ჩვენში, რამდენადაც უფრო ღონიერი და ძლიერი იყო საქართველო, როგორც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს.“

სამწუხაროდ, საქართველოში ისტორიულად მცხოვრებ არაქართველ ხალხთაგან ყველა როდი აფასებდა სათანადოდ ამგვარ კეთილგანწყობით დამოკიდებულებას. შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ ამ მხრივ ქართველი ებრაელები სრულიად გამონაკლისნი არიან და საქართველოში მათი მკვიდრობის მთელს მანძილზე ამ ერის შვილებთან ჩვენს ხალხს ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არასოდეს შექმნია რაიმე პრობლემა. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, ორმხრივი ურთიერთობის შედეგი იყო და ორი ხალხის კეთილმეზობლური თანაარსებობა მხოლოდ ერთი მხარის დამსახურებას არ წარმოადგენს. საქართველოს ისტორიიდან ერთ ფაქტსაც ვერ დავასახელებთ იმისას, ქართველ ებრაელს ჩვენი ქვეყნისათვის რომ ეღალატოს და სახელმწიფოებრივი დანაშაული ჩაედინოს, ისევე როგორც არც ებრაელებს გადახდენიათ თავს ქართველი ხალხისაგან ის ბარბაროსული დევნა-შევიწროება, რასაც ისინი სხვა ქვეყნებში განიცდიდნენ ხოლმე პერმანენტულად.

იაკობის თქმით, ნაბუქოდონოსორის დროიდან მოყოლებული, როცა „ჩვენი ებრაელები საქართველოში დასახლდნენ, ისინი არ განიცდიდნენ არც დევნასა და არც შევიწროებას. მათ არავინ ართმევდა არც ენას, არც სარწმუნოებას, ჩვენთან ერთად სარგებლობდნენ სრული თანასწორუფლებიანობით და ამიტომ გაერთიანდნენ ჩვენთან ყოველმხრივ, გარდა სარწმუნოებისა.“

ქართველ ხალხთან ებრაელთა სიახლოვის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად იაკობი ჩვენი ხალხების ენობრივ ერთობასაც მიიჩნევს. ამ თვალსაზრისით ისინი იმდენად შეესისხლხორცენ და შეეთვისენ ქართულ გარემოს, რომ საუკუნეთა განმავლობაში მათი უდიდესი ნაწილისათვის ქართული ენა მშობლიურ ენად იყო ქცეული.

იმისათვის, რომ ყოველივე ზემოთქმულს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, ქართველებისა და ებრაელების კეთილმეზობლური თანაცხოვრების პარალელურად ი. გოგებაშვილი იმ დევნა-შევიწროებისა და დარბევების შესახებაც ხშირად საუბრობს, რომელთაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განიცდიდნენ ებრაელები.

ი. გოგებაშვილის აზრით, ებრაელობისადმი ქართველთა ტრადიციულად ტოლერანტულ დამოკიდებულებას ის შედეგი მოჰყვა, რომ „ჩვენის სახელმწიფოს ერთგულებაში ქართველებს არც ისინი დაუვარდებოდნენ.“ ებრაელების ასეთ ერთგულებას მათი მეორე სამშობლოსადმი ჩვენი ხალხი ყოველთვის სათანადოდ აფასებდა. დიდ პედაგოგს სწორედ ამის ნათელ დადასტურებად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ „ებრაელებს საქართველოს მეფენი სამძიმე დიპლომატიურ საქმესაც ხშირად მიანდობდნენ ხოლმე“, რასაც ისინი ჩვეული ერთგულებითა და გულმოდგინებით აკეთებდნენ.

საქართველოსადმი ებრაელების ასეთ ერთგულებას ი. გოგებაშვილი იმით ხსნის, რომ გარდა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებისა, ამგვარივე თავისუფლება მათ სარწმუნოებრივ სფეროშიც ჰქონდათ მინიჭებული და ამ მხრივ ისინი „სრულის თანასწორობით სარგებლობდნენ ქართველებთან.“

მართალია, ქართველი ებრაელები ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში შეუზღუდველად იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ მათი მთავარი და ყველაზე მეტად წარმატებული საქმე მაინც ვაჭრობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ, იაკობის შეფასებით, ვაჭრობა, თავისი „მიზნის ექსპლუატატორულობის გამო ყველგან იწვევს ძლიერ ანტიპატიას“, ქართველებსა და ებრაელებს შორის თვით ამ საფუძველზეც არასოდეს წარმოქმნილა რაიმე სერიოზული კონფლიქტი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით აქ ი. გოგებაშვილის ერთ იმ წერილსაც მინდა მივაპყრო განსაკუთრებული ყურადღება, რომელშიც იგი სვანეთის სოფელ ლახამულას მცხოვრებთა ებრაულ წარმომავლობაზე საუბრობს. მისი თქმით, სადადიანო სვანეთის შემადგენლობაში შემავალი ამ სოფლის მოსახლეობა, რომლის რაოდენობა ორმოცდაათამდე კომლს შეადგენდა, „ჩამომავლობით ურიები არიან“.

ლახამულელთა ებრაულ წარმომავლობაზე ანალოგიური ინფორმაცია გერშონ მეგრელიშვილმაც გამოაქვეყნა ამ რამდენიმე წლის წინათ. კერძოდ, XX საუკუნის დასაწყისში სოფელ ლახამულას მკვიდრ ემუზა გულბანისაგან პირადად მას ასეთი ამბავი მოუსმენია: „ადრე ჩვენ ებრაელები ვიყავით... ბაბუისაგან გამიგონია, რომ მისი ბაბუა რაფაელი დიდი რაბინი ყოფილა ლახამულაში. როდესაც ქრისტიანებმა დაგვამარცხეს, ჩვენი სალოცავი ეკლესიად გამოაცხადეს, რაბი რაფაელს გულზე ჯვარი ჩამოჰკიდეს. მან ჯვარი მოიძრო და წყალში ისროლა. ქრისტიანები დაედევნენ მოსაკლავად და მან მდინარეს მისცა თავი. ჩვენი წინაპრები სულ ომებში იყვნენ, არასოდეს დაუყრიათ ფარ-ხმალი. იბრძოდნენ საუკუნეებით. ბოლოს დამარცხდნენ და გვიანდერძეს, რომ თორა, თეფილინი, მეზუზა ყოველ ოჯახში იყოს. აი, ამიტომ ჩემთან სახლში ინახება თორაც და თეფილინიც“ (გ. მეგრელიშვილი).

ლახამულას მკვიდრთა ებრაული წარმომავლობის ზემოთ დამოწმებული ამბავი გამონაკლისი რომ არ არის, ამას რაფიელ ერისთავისა და გუსტავ რადეს მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ეს გადმოცემაც ადასტურებს: „როდესაც თამარ მეფემ ხევსურეთში იმგზავრა, მას თანამგზავრად თურმე ერთი ებრაელიც ახლდა, რომელსაც სახელად ბისო რქმევია. ეს ბისო ხევსურეთში ყოფნის დროს ავად გამხდარა, შემდეგ გამოკეთებულა, მაგრამ ხევსურეთიდან თავის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ხევსურების აზრით, დღევანდელი ბისოელები ამ ბისოსაგან წარმოდგებიან (ბისო სოფელია ხევსურეთში)“.

ცხადია, ზემოთ მოშველიებულ მონაცემებზე დაყრდნობით იმის მტკიცება, რომ დასახელებული სოფლების მოსახლეობა წარმომავლობით ნამდვილად ებრაელები არიან, შეუძლებელია. მაგრამ ამჯერად ეს კი არაა მთავარი, არამედ „თვით ფაქტი ასეთი ლეგენდის არსებობისა, რაც კარგად მიგვანიშნებს ქართველი კაცის დამოკიდებულებაზე ებრაელის მიმართ – მაშინ, როცა იმჟამინდელი ევროპის ქვეყნები ასე ავიწროებდნენ ებრაელობას და ყველანაირად ცდილობდნენ მის მოკვეთასა და იზოლაციას, ქართულ ლეგენდას იუდეველი კაცი ღვთაებად შერაცხული მეფე-ქალის – თამარ პირიმზის ამალაში შეჰყავს და ქართული სოფლის მამამთავრობას მიაწერს მას“ (ჯ. აჯიაშვილი).

„ტოლერანტობის სათავეები“ საქართველოში

31 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე, დაბა ბაკურიანში, სასტუმრო „ევრიკას“ ბაზაზე საბავშო ბანაკი „ტოლერანტობის სათავეები“ მუშაობდა.

„ტოლერანტობის სათავეები“ უნიკალური ბანაკია, რომელშიც ბავშვები გაეცვნენ კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების რელიგიასა და კულტურას, ასევე გამოცდილება მიიღეს სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ხალხთან ურთიერთობაში. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 10 ეროვნების 100-მა ბავშვმა, მათ შორის ბავშვებმა საქართველოდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და ბელორუსიიდან, ასევე 30-მდე აღმზრდელმა მეთოდისტმა და პედაგოგმა აღნიშნული ქვეყნებიდან.

„ტოლერანტობის სათავეების“ ყოველი დღე ერთ-ერთი ერის დღე იყო. ბანაკში გაიმართა ქართული, სომხური, ებრაული, უკრაინული დღეები. ასევე ოსური და აზერბაიჯანული დღეები. ამ დღეების განმავლობაში ბავშვები სწავლობდნენ

ენის საფუძვლებს, სიმღერებს, ცეკვებს, ისტორიას, რელიგიას და ამ ერის ტრადიციებს. დღე მთავრდებოდა შესანიშნავი ღონისძიებით ეთნო-სტილში. ბანაკის მეთოდიკა უკრაინასა და მოლდოვეთში 10 წლის განმავლობაში მუშავდებოდა.

საქართველოში ბანაკი ევრაზიის ებრაული კონგრესის მიერ იქნა ორგანიზებული შიდა ეთნიკური თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკურ ცენტრთან ერთად. ბანაკი დააფინანსა კონგრესმა (პრეზიდენტი ვადიმ შულმანი), ასევე თანხები გაიღეს: ორგანიზაცია „ჯოინთმა“ (რეგიონალური მმართველი — იციკ ავერბუხი) ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტებმა მერაბ ელაშვილმა, მარკ შაბადმა, გაბრიელ მირილაშვილმა და დავით იაკობაშვილმა.

საქართველოს ებრაელობა. წარსულიდან მომავლისაკენ

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნის ათი წლისთავისათვის

გურამ გათიაშვილი

რისთვის იბადება, რისთვის ჩნდება ადამიანი? ამ კითხვას იუდაიზმი ასე პასუხობს: იმისთვის, რომ გარდაქმნას, გააუმჯობესოს გარემომცველი სამყარო. ე.ი. უკეთესი გახადოს ის სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, საზოგადოება, რომელშიც მოქმედებს, ცხოვრობს. იუდაიზმი ამას მიიჩნევს ადამიანის ქვეყნად მოვლინების უმთავრეს პირობად.

ებრაელი ერის ისტორიის თვალის ერთი გადავლებითაც კი შეიძლება ითქვას, რომ თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში სამყაროს გაუმჯობესება, იმ გარემოს უკეთესად ქცევა, რაც მას დახვდა, ერის ერთერთი მთავარი მოწოდებაა. აკეთებს, ქმნის იმას, იღვწის იმისათვის, რომ ის, რაც ამ ქვეყნად დახვდა, ხვალ გაცილებით უკეთესი იყოს, ვიდრე არის დღეს. იგი მაშინაც გარდაქმნიდა, მაშინაც პროგრესს ამკვიდრებდა, როცა მტრის მიერ ძლეული გახლდათ. მტერი კი ბევრი ჰყავდა – სახელმწიფოთა დიდ კრებულს ეჭირა თვალი ისრაელელთა მიწა-წყალზე, მომხვდურ მ6ტერს ხშირად, უმეტეს შემთხვევაში ვერ იგერიებდა, მაგრამ ხდებოდა პარადოქსული რამ: ამ ფიზიკურად ძლეულ, დამარცხებულ ერს ისეთი იარაღი ეჭირა ხელთ, რომ მასზე გამარჯვებულ მტერზე საბოლოოდ მაინც ებრაელობა იმარჯვებდა. ეს იარაღი – თორა – ამარცხებინებდა ყოველ დამპყრობელს.

ებრაელი ერის ისტორიაზე ბევრი იწერება, წერენ საინტერესო, სანდო ავტორები, წერენ ისტორიკოსები, რომლებსაც შეიძლება ითქვას, ხელის გულზე უდევთ ებრაელი ერის უზარმაზარი გზა. არის სხვადასხვა სახის პერიოდიზაცია, ყოველ მოსაზრებას აქვს არსებობის, განსჯის უფლება და ალბათ, იმასაც, რომელსაც მე ვხედავ, თუმცა, მას არაფერი საერთო მეცნიერულ პერიოდიზაციასთან არა აქვს. ეს მწერლისეული ხედვა, იქნებ, მოვლენების ემოციური ანალიზიდან უფრო მომდინარეობს, ვიდრი ფაქტობრივი დათარიღებისაგან. ვხედავ კი აი, როგორ: ქანაანის მიწაზე ებრაელი ერის ცხოვრების ამ დიდ მარათონზე გადარჩენისათვის დამქანცველ, მაგრამ მაინც შემართულ ბრძოლაში სამ მოვლენას, სამ დიდ ეპოქას გამოვყოფდი. ამ სამმა ეპოქამ წარმოაჩინა მისი ტრაგიზმიც და შეუპოვარი ხასიათიც.

1. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რომმა გააცამტვერა იერუსალიმი. ერის სიძულვილი დამპყრობლისადმი, დამოუკიდებლობისათვის ზელოტთა ომი მწარე მარცხით დამთავრდა. დამარცხებაც არის და დამარცხებაც! – გამარჯვებულმა რომმა იერუსალიმი გადახნა, ერის ერთმა ნაწილმა სიცოცხლის გადარჩენისათვის ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეს შეაფარა თავი, მაგრამ როგორც ჰენრიხ ჰაინემ თქვა, ლტოლვილმა ერმა ჯიბით წაიღო სამშობლო – თორა. დრომ — საუკუნეებმა დაადასტურეს, რომ ეს გახლავთ ყველა მანამდე და მას შემდეგ არსებულ იარაღზე უფრო ძლიერი იარაღი. ამ იარაღმა ერი გადაარჩინა. თორამ ებრაელობა შეანახვინა, იხსნა ასიმილაციისაგან – არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ის, რომ ამ იარაღმა ერი სრულიად ახალ გრადაციაში გადაიყვანა – სისტემური აზროვნება, რაციონალიზმი მისი ყოფის თანამდევად აქცია,

2. პირველი საუკუნის დასასრულს, მეორის დასაწყისში ბარ კოხბას აჯანყებამ გამოავლინა ერის კიდევ ერთი თვისება – დაუოკებელი წყურვილი სამშობლოსათვის ბრძოლისა. მსოფლიოს ისტორიის ფურცლები სავსეა იმის აღწერით დამარცხებული ერი, თუ როგორ უჯანყდება დამპყრობელს და რაოდენ მედგარ წინააღმდეგობას უწევს მას. ბარ კოხბას აჯანყება არ გახლავთ ჩაგრული, დამონებული ხალხის რიგითი აჯანყება. ეს აჯანყება იყო ნათელი დასტური იმისა, მცირერიცხოვანი, მაგრამ სულით ძლიერი ერი, როგორ არ ეპუება ლაშქარმრავალ, იმ დროისათვის დიდებულად შეიარაღებულ, აღჭურვილ მტერს – მსოფლიოს იმდროინდელ მბრძანებელს – რომის იმპერიას. ამით ებრაელობამ კაცობრიობას მისცა დაუმორჩილებლობის უკვდავი მაგალითი.

შემდეგ იწყება სამშობლოზე ლოცვის, სამშობლოში დაბრუნების, საუკუნეებად ქცეული უსასრულო და ბნელი ღამე.

დიახ, სწორედ რომ საუკუნეებად ქცეული გრძელი და ბნელი ღამე.

3. ეს ღამე გრძელდება მეოცე საუკუნემდე. მეოცე — დიდი კატაკლიზმების — საუკუნეში მსოფლიოში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ერთ-ერთი მთავარი გამორჩეული კი ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენაა.

ამბობენ, რომ ეს იყო სასწაულებრივი მოვლენა.

მაგრამ შეიძლება სასწაულად მიიჩნეოდეს ის, რაც ღვთის ნებას ადასტურებს? 33 საუკუნის წინათ, ებრაელობა ღვთის ნებით და მარჯვენით მივიდა ქანაანის მიწაზე და საბოლოოდ დამკვიდრდა იქ. ერთობ ხანგრძლივი იყო სამშობლოსაკენ ებრაელი ხალხის სვლა – 400-წლოვანი ტყვეობა ეგვიპტეში და კიდევ 40 წელი უდაბნოში საკუთარ თავთან და უდაბნოელებთან ბრძოლისა.

მინდა პარალელი გავავლო ბიბლიურ ეგვიპტესა და ფაშისტურ გერმანიას, ბიბლიურ ფარაონსა და კანცლერ ჰიტლერს შორის.

ებრაელ ერს ეგვიპტეში ოთხასწლოვანი მონობა და ტანჯვა უნდა გაევლო, შემდეგ უდაბნოში საკუთარ თავთან 40-წლოვანი ომი გაემართა, რათა ეგვიპტის მონობის საუკუნეებში სულში დაბუდებული შიშის, მონობის ბაცილები უდაბნოს ქვიშაში ჩაეტოვებინა და ღვთის მარჯვენით სამშობლოში მისულიყო თავისუფალი, შემოქმედი ერი — ღვთისეული მცნებებით ძლიერი.

მეოცე საუკუნეში კი ფაშიზმი, მეორე მსოფლიო ომი აღმოჩნდა ის საშინელება, რომელიც ებრაელ ხალხს უნდა გამოევლო და უდაბნოსებრ საკუთარი სულიდან ამოეძირკვა დიასპორაში დაბუდებული შიშის, მორჩილების, გაუცხოების ბაცილები და აღედგინა სახელმწიფოებრიობა.

ებრაელი ხალხის დაუოკებელმა ბრძოლამ, ეროვნული ღირებულებისადმი ერთგულებამ, ფაშიზმის საშინელებამ, მსოფლიოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ებრაელი ხალხის სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

შემდეგ საბჭოელი, კრემლის ფარაონები იქცევიან თითქმის ისევე, როგორც ეგვიპტის ფარაონი. აქ პარალელების დაძებნა არცთუ ისე ძნელია. ამიტომ მოშე რაბინისეული ფარაონისადმი ნასროლი ფრაზა, „გამოუშვი ჩემი ხალხი!“ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, აშშ-ში ერთობ აქტუალური ხდება. დასავლეთის ებრაელობა, კრემლის ფარაონებს მისძახის: „გამოუშვი ჩემი ხალხი!“

ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა აშშ სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის ერთი მოგონება: 1987 წელს იგი მოსკოვში იმყოფებოდა. აქ შეხვდა იმ ებრაელებს, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმი უარს ეუბნებოდა ისრაელში რეპატრიაციაზე ე.წ. „ოტკაზნიკებს“. „13 აპრილის საღამოს ელჩის რეზიდენციაში შევიარე – იგონებს შულცი – მრგვალი ოთახი თბილ, კეთილსასურველ ტაძრად ექცეოთ. საფესახო სეფერისთვის ყველაფერი მზად იყო. მაგიდებს ათობით ცნობილი ებრაელი „ოტკაზნიკი“, მიჯდომოდა. კიპა დავიხურე, მათთან შევედი და ვუთხარი ზუსტად ის, რასაც ყოველი ჩვენგანი ეტყოდა.

„თქვენ ყოველთვის ჩვენს გულებში ხართ, ჩვენ არასოდეს დავნებდებით, თქვენც მოგვეშველეთ და ბოლოსდაბოლოს რაღაც სასიკეთო მოხდება. არც თქვენ დანებდეთ, არასოდეს დანებდეთ და გახსოვდეთ, რომ ადამიანები, არა მხოლოდ ამერიკაში, მთელ მსოფლიოში ფიქრობენ თქვენზე. ისინი თქვენს ბრძოლაში გვერდით გიდგანან“.

მეორე დღეს შულცი გორბაჩოვს ხვდებოდა. გორბაჩოვმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს უთხრა:

„როგორ ხდება, რომ ყოველ ჩამოსვლაზე ამ უნესო ებრაელებს ხვდებით. რატომ არ გინდათ, სხვა ადამიანებს შეხვდეთ? ჩვენ კარგი ებრაელებიც გვყავს.

„მე გორბაჩოვს ვუთხარი, იგონებს შულცი: „თქვენ ეს ებრაელები არ გიყვართ. მე თქვენთვის მაქვს საქმიანი ნინადადება: ჩვენ უზარმაზარი თვითმფრინავით ჩამოვფრინდით, ჩემს დელეგაციაში არ მოიძებნება ერთი ადამიანიც კი, რომელიც ამ ებრაელებს თავის ადგილს არ დაუთმობდა, მოდით, ამ ხალხს ჩავსხამ ამ თვითმფრინავში და თქვენ მოიშორებთ მათ!“

და მსგავსად ეგვიპტის ფარაონისა, კრემლის ფარაონებს მოუწევთ საკუთარ თავზე იწვნიონ ღვთისეული „ათი ცემულება“ – საბჭოთა კავშირი იშლება.

საბჭოთა კავშირის დანგრევის პირას იქმნება ებრაული ორგანიზაციები – ხალხმა გაიღვიძა. მე გახლდით საბჭოთა კავშირის ებრაული ორგანიზაციებისა და თემების – „ვაადის“ – პირველი ყრილობის მონაწილე (1989 წლის დეკემბერი) შემდეგ პირველი გამგეობის წევრი და ვხედავდი, თუ როგორ მძიმედ, რთულად ხდებოდა საბჭოთა კავშირში ებრაული ყოფის ლეგალიზაცია – ახლაც, 20 წლის შემდეგ ჩამესმის ყურში მოსკოვის კინოს სახლთან შეკრებილი ანტისემიტების, „პამიატის“ წევრების შეძახილები: „ჩაქოლეთ, მოსპეთ ებრაელები!“ კინოს სახლთან დიდი თოვლი იდო, დასუფთავების მუშაკები გზას ასუფთავებდნენ, ვიღაც ფაშფაშა დედაკაცი კი მემანქანეს მისძახოდა: „თოვლს ნუ სტკეპნი, აი, ესენი – ჟიდები — დასტკეპნე!“

საქართველოში უკვე ამოქმედდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია. ეს ასოციაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მეთაურობით. ეს ღვთისნიერი კაცი, ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტი იმ წლებში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

მერე მოსკოვში შეიქმნა რუსეთის ებრაული კონგრესი, მილიარდის მქონე გუსინსკის მეთაურობით.

და როდესაც ამ კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად და პეტერბურგის განყოფილების ხელმძღვანელად არჩეულ იქნა მიხეილ მიხეილის-ძე მირილაშვილი, ანუ როგორც ჩვენ ვიცნობდით, მიხო მირილაშვილი, გაჩნდა ფიქრი, რომ შესაძლებელი იყო ქართველ ებრაელთა შემეცნებაშიც დამდგარიყო გარდაქმნის ეტაპი.

რატომ გარდაქმნის?

ქართველი ებრაელობა ყოველთვის გამოირჩეოდა ეროვნული ტრადიციების ერთგულებით. ამ მხრივ იგი მისაბაძი გახლდათ მთელი საბჭოეთის ებრაელობისათვის, მაგრამ საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობისაგან თავს შორს იჭერდა. ამის მიზეზების ახსნას ახლა არ გამოვუდგებით, იგი შორს წაგვიყვანს.

მიხეილ მირილაშვილი კი პოსტსაბჭოურ სივრცეში საზოგადოებრივ აპარეზზე ქართველი ებრაელი ბიზნესმენის გააქტიურების ერთ-ერთი პირველი მერცხალი გახლდათ – მანამ სანამ იგი რეკ-ის (რუსეთის ებრაული კონგრესი) ვიცე-პრეზიდენტი გახდებოდა, დსთ-ს ქვეყნების ებრაელობის სპორტულ მოძრაობას დაუდგა გვერდით — საკმაოდ დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა ებრაელ სპორტსმენებს.

თუმცა, ამჯერად ჩემი მიზანი სულაც არ არის, გიამბოთ, თუ რა ხდებოდა იმდროინდელ საქართველოში, გნებავთ, პეტერბურგში. ჩემი სურვილია მკითხველს ვუამბო საქართველოს ებრაელობის მსოფლიო კონგრესის შექმნისა და მოღვაწეობის თაობაზე. კონგრესის შექმნის სათავეებთან, ცხადია, მხოლოდ მე არ ვიდექი, კონგრესის შექმნაში მეტნაკლებად მონაწილეობდა თანამედროვე ქართველი ებრაელობის ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი. ალბათ, ჩემი ფაქტოლოგია, ხედვა განსხვავებული იქნება კონგრესის სხვა მესაძირკვლეთაგან, შესაძლოა, ბევრი არც დამეთანხმოს, მაგრამ ოპონენტებს მინდა ვუთხრა: მე ვწერ იმაზე, რაც კონგრესის შექმნის ირგვლივ და შემდეგ განვიცადე, დავინახე.

სანკტ-პეტერბურგის ფორუმი

2000 წლის დეკემბრის დამდეგი გახლდათ — მოქუფრული კვირა დღე. ჩემს ოთახში ჩვეულებისამებრ ვმუშაობდი. სატელეფონო ზარმა მუშაობა შემაწყვეტინა.

სანკტ-პეტერბურგიდან რეკავდა თამაზ სეფიაშვილი. იგი ოთხი წლის წინათ პეტერბურგში გამოჩენილი ღვთისმეტყველის — ადინ შტაინზალცის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე ყოფნისას გავიცანი და ერთობ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. ვიცოდი, რომ თამაზი მიხო მირილაშვილთან თანამშრომლობდა — ებრაული საქმეების წინწაწევაში ეხმარებოდა, ამიტომ მისი ზარი სასიამოვნო იყო.

– მიხოს დავალებით გირეკავ – მეუბნება თამაზი – 25 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში ხანუქის დღესასწაულს აღვნიშნავთ. მიხო შენ და ჯემალ აჯიაშვილს გეპატიჟებათ.

მიხოს, რასაკვირველია, ვიცნობდი, ჩინებული პიროვნების – მიშიკო მირილაშვილის ვაჟი გახლდათ, განსაკუთრებულ პატივს ვცემდი მის ბაბუას – ერთობ ღირსეულ პიროვნებას – ილია ბოთერაშვილს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მიხოსთან ახლო ურთიერთობა მქონდა. მის უმცროს ძმასთან – გაბრიელთან კი ის მაკავშირებდა, რომ იგი ჩემი სიძის – გურამ ხარაზიშვილის დეიდაშვილზე – ბაია წითლიშვილზე გახლდათ დაქორწინებული. ბაია წითლიშვილის მშობლების-მიშა და ნანული წითლიშვილების ოჯახი კი ერთობ გამორჩეული გახლდათ თბილისში, ბ-ნი მიშა რაინდული სულისკვეთებით, ახლობლების სიყვარულით ხასიათდებოდა. ამას ერთი მაგალითიც დაადასტურებს:გურამ და გივი ხარაზიშვილებს მამა ჭაბუკობისას გარდაეცვალათ, ცოლის დისშვილებს მამობა მიშამ გაუწია, იქამდე,რომ მეუღლის

ორივე დისშვილს შაბათის ქორწილი თავის ოჯახში გადაუხადა. ამიტომ ამ ოჯახთან ძალიან თბილი ურთიერთობა გვაკავშირებდა.

სწორედ გაბრიელ მირილაშვილი ეფრაიმ გურის წინადადებით გახლდათ ერთი ჩინებული საქმის მოთავე – ჩემი დაბადების 60 წლისთავზე მათ მოიწადინეს, დაეფინანსებინათ ებრაულ ენაზე ჩემი ერთ-ერთი პიესის თარგმნა. 1998 წელს ისრაელში ყოფნისას ბ-ნმა მიშიკო მირილაშვილმა საამისოდ თავად გადმომცა სამი ათასი დოლარი. მე ამ საჩუქარს ცოტა სახე ვუცვალე – ებრაულ ენაზე ვათარგმნინე არა პიესა, არამედ ჩემი ახალი რომანი „მეათე კაცი“, რომელიც თელ-ავივის გამომცემლობა „ხალონოთმა“ გამოსცა. რომანის ივრითულ გამოცემას ბევრი კარგი გამოხმაურება მოჰყვა (ცხადია, ივრითულენოვან პრესას, მკითხველს ვგულისხმობ), გაზეთ „ჰაარეცში“ ჩინებული რეცენზია დაიბეჭდა.—ჩემს არქივში დღესაც ინახება დიდებული ისრაელელი მწერლების — ალეფ-ბეთ იოშუასა და ამოს ოზის ბარათები, რომლებიც ამ რომანთან დაკავშირებით გამომიგზავნეს, ხოლო გამოჩენილი თეოლოგის ადინ შტაინზალცის ამ რომანის ბოლოსიტყვა, დღესაც დიდ სიამოვნებას მგვრის. ყველაფერი ამის გამო მირილაშვილების ოჯახისადმი მადლიერების გრძნობა თან მომყვება: რომ არა მათი ინიციატივა, ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში ასეთი მშვენიერი ფურცელი არ ჩაიწერებოდა.

რომანის თელ-ავივის გამოცემა სწორედ სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების წინ მივიღე. იმის გამო, რომ მირილაშვილების ოჯახი გახლდათ მისი თარგმნის ინიციატორი, მათდამი მადლიერების გამოსახატავად, წიგნი თან წავიღე, რათა გამოცემის მოთავეებისათვის მიმერთმია.

მაგრამ ვიდრე სანკტ-პეტერბურგში ჩავფრინდებოდი, ალმა-ათაში უნდა ჩავსულიყავი – იქ იმართებოდა ებრაული პრესის მუშაკთა საერთაშორისო შეხვედრა. ლევ სამოვსკი, გაბრიელ ნამთალაშვილი და მე ერთად გახლდით ებრაული პრესის ხელმძღვანელთა ალმა-ათის ფორუმზე. სანკტ-პეტერბურგს სწორედ იქიდან გავფრინდი.

ამ ქალაქში მიხო მირილაშვილის მიერ ჩატარებულ ხანუქის საღამოზე დავინახე, თუ რას ნიშნავს სიკეთის ქმნა: რამდენიმე ხნის, სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ მიხო მირილაშვილის ბედი სულ სხვაგვარად - ერთობ არასასიამოვნოდ შეტრიალდა. მომდევნო თვეების განმავლობაში თან მდევდა ფიქრი: სად იკარგება სიკეთე? რა შთანთქავს ადამიანის ძალისხმევას ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისათვის? არ დავმალავ: ეს ფიქრი გარკვეულწილად საყვედურსაც მოიცავდა: ადამიანი ასე იღვწის, ასე ცდილობს, ზეციური გამგებელი კი... ასე ვფიქრობდი მაშინ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვაგვარად ვაფასებ იმას, რაც მიხო მირილაშვილის თავს დატრიალდა: სიკეთე არსად არ იკარგება, იგი მუდამ თან დასდევს (ბოროტი საქმეებიც!) ადამიანს.ეგ არის რომ ჩვენი მოუთმენლობა, სულსწრაფობა გვაჩქარებს უმალ დავინახოთ ჩადენილი ბოროტებისა, თუ კეთილი საქმეების ფიზიკური განსხეულება — საზღაური, ხოლო ის, ვისთვისაც „საუკუნე არის, ვითარცა დღე“, სხვაგვარად სჯის, დროის სრულიად სხვა განზომილებაშია. მიხო მირილაშვილი განსაცდელიდან გამოვიდა პიროვნულად უფრო ძლიერი, გამთლიანებული. იმ საღამოს მადლი 8-9 წლის შემდეგ გამოჩნდა. და მე ამის განმაპირობებლად 25 დეკემბრის ხანუქის საღამოსაც მივიჩნევ (კიდევ რამდენი ასეთი საღამო ჰქონდა!) აქ თავს ავარიდებ უზარმაზარ დარბაზში „ოქტიაბრსკში“ (გამეგო, წამეკითხა: ადრე ამ დარბაზში ბოლშევიკთა პარტიული ფორუმები იმართებოდა, ახლა კი ხანუქის დღესასწაულის აღნიშვნა ერთ-ერთ „ნესად“ – სასწაულად მიმაჩნდა) ერთობ მასშტაბური ღონისძიების აღწერას.

ოთხი დღე ვიყავით სანკტ-პეტერბურგში. პირველსავე დღეს სასტუმრო „ასტორიაში“ გაიმართა სხდომა. დღის წესრიგში იდგა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნის საკითხი. იყო აზრთა გაზიარება, ბჭობა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კონგრესი, რა მიმართულების. აშშ-დან გახლდათ ჩამოსული აარონ ხენი, ისრაელიდან — დავიდ ქოენი, შაბთაი ცური თავისი პარტიის აშქელონელი აქტივისტებით: ლოვა ბარდანი, შაბთაი ბირანი, სხვები, გაზეთის „ალია საქართველოდან“ რედაქტორი და გამომცემელი აბრამ საპირი, ბელგიიდან იციკ ბანაი, მოგვიანებით შვეიცარიიდან შემოგვიერთდა აკადემიკოსი შალვა მარდი და სხვანი.

კამათი ძირითადად მომავალი კონგრესის სტრუქტურას, არსს შეეხებოდა, იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი. ჩვენი ისრაელელი მეგობრები კონგრესის უმთავრეს ამოცანად ორ მიმართულებას მიიჩნევდნენ – რელიგიურსა და საქველმოქმედოს. ისინი, ცხადია, უკეთ იცნობდნენ ისრაელის რეალობას და აქედან გამომდინარე, ცდილობდნენ, კონგრესის ამოცანა ისრაელის ქართველი ებრაელობის რეალობისთვის მოერგოთ, ჩვენ კი – მე და ჯემალ აჯიაშვილი – სხვაგვარად განვიხილავდით საკითხს – ვეთანხმებოდით მიხო მირილაშვილის იდეას, რომ კონგრესს გაეერთიანებინა მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ებრაელობა, მაგრამ ამავე დროს კონგრესი არა მხოლოდ ქველმოქმედებით, არა მხოლოდ რელიგიური ინტერესებით გამხდარიყო ქართველი ებრაელობისათვის მიმზიდველი, არამედ როგორც ინტელექტუალური ცენტრი, იდეების გენერატორი, რომელიც სწორედ ამ იდეებით გააერთიანებდა მსოფლიოს ქართველ ებრაელობას. ეს იდეები კი ცალკეული პროექტების განხორციელებაში უნდა გამოჩენილიყო. ცხადია, ამ პროექტებში რელიგია, ქველმოქმედებაც დაიჭერდა რიგით და არა წამყვან ადგილს, რადგან ამისთვის არსებობს სხვა ინსტიტუტები. ვერა-რა კონგრესი ვერ შესძლებს იმ ხვრელის ამოვსებას, რომლისთვისაც არსებობს ქველმოქმედება. ეს არც არის კონგრესის ამოცანა. კონგრესი საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის. ჩვენ უკვე გვქონდა „ვაადში“,მსოფლიოს ებრაულ კონგრესში, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესში მუშაობის გამოცდილება და ვიცოდით, თუ როგორ დგას ეს საკითხები იქ. ხსენებული კონგრესების მუშაობის სტილი კი გახლდათ დასავლეთ ევროპის ინტელექტუალური ძიების ნაყოფი და გამოხატულება. დასავლეთის ქვეყნების ინტელექტუალურ პროგრესში ებრაელობას ხომ თავისი წვლილი შეჰქონდა და გამოცდილებასაც აგროვებდა.

სანკტ-პეტერბურგში გამართული სხდომები კონსტრუქციულობით, მოსაზრებათა ცხოველი, გულწრფელი გაზიარებით ხასიათდებოდა. ამიტომ იყო იგი საინტერესო.

შესანიშნავ ატმოსფეროს ქმნიდნენ მასპინძლები: მიხო მირილაშვილი, მისი მამა მოშე (მიშიკო) მირილაშვილი. დაუვიწყარია ბ-ნი მიშიკოს ოჯახში გამართული შაბათ ღამის სედერი, მისი მეუღლე – ქ-ნი დოდო – ჩინებული დიასახლისი, იგი ერთობ ძვირფასი მამის—ილიასეული ღიმილით ავსებდა სუფრას. იმ საღამოს კიდევ ერთხელ გამოჩნდა რაოდენ ძვირფასი იყო ეს ოჯახი – სათნო, მუდამ მოკრძალებულად მომღიმარი ბ-ნი მიშიკო, ფიქრიანი, დინჯი მიხო, ემოციური – გაბრიელი იმ მოზაიკურ სურათს ქმნიდნენ, რომლის ცქერა ძლიერ საამო იყო.

სანკტ-პეტერბურგში ყოფნის ბოლო დღეს მე და ჯემალი მიხო მირილაშვილმა თავის ოფისში მიგვიხმო. მიხოს ეწადა გამომგზავრების წინ ჩვენთან საქმიანი საუბარი გაემართა და დამდეგი ახალი წელი მოელოცნა. ის იყო ტაბლას მივუსხედით და მიხომ შამპანურის ბოთლი აიღო ხელში, რომ მისმა ჯიბის ტელეფონმა დარეკა. სატელეფონო საუბრის შემდეგ კი გვითხრა: ნახევარი საათით უნდა დაგტოვოთ, პეტერბურგის გუბერნატორი იაკოვლევი სასწრაფოდ მიხმობსო. წავიდა.

მე კი ეს სატელეფონო ზარი არ მესიამოვნა, რადგან პეტერბურგში ყოფნისას რამდენიმე ადამიანმა მითხრა: მალე გუბერნატორ ა. იაკოვლევის კადენცია იწურება და მიხო მირილაშვილს სთავაზობენ გუბერნატორის პოსტზე კენჭი იყაროს, ეს შეთავაზება ზემო ეშელონებიდან მოდისო. რატომ არ მესიამოვნა გუბერნატორთან მიწვევა?ცხადი იყო, რომ მ. მირილაშვილი პეტერბურგში ძალიან კარგად უძღვებოდა თავის საქმეს – დიდ ბიზნესს ვგულისხმობ. იგი უკვე ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ პეტერბურგში, მსოფლიოს ებრაულ სამყაროში, და არა მხოლოდ საქმიან წრეებში, საზოგადო მოღვაწეთა შორისაც. იგი მინახავს მსოფლიოს ებრაული კონგრესის სხდომებზე, იერუსალიმში გამართულ საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე, ხანუქის გრანდიოზულმა საღამომ ისიც დამანახა, ქალაქის ებრაულ მოსახლეობაში თუ როგორ ამკვიდრებდა ებრაულ შემეცნებას „ნეფეშ იუდი“ და ისიც, თუ როგორ უყვარდა იგი ებრაულ ელექტორატს. ებრაელი კაცის ასეთი სახელი იმ ქალაქში, რომელშიც „პამიატი“ მძლავრობდა, საშიში უფრო იყო, ვიდრე სასიამოვნო. მოგეხსენებათ, კარგ სახელს მუდამ თან სდევს შური, ეს შური კი რაგვარად გადმოიღვრება, რა სახეს მიიღებს პუგაჩოვის „ბუნტის“, პერმანენტული „სმუტის“ ქვეყანაში?

ერთი სიტყვით, ეს ინფორმაცია მაწუხებდა, მეწადა კიდეც ჩემი შიში მიხო მირილაშვილისათვის გამეზიარებინა, მაგრამ თავს ვიკვებდი– მერე ჩემი შიში ჩემსავე სისუსტედ ჩავთვალე.

მიხო, მართლაც, ნახევარ საათში მობრუნდა. თურმე გუბერნატორი იმისთვის ეძახდა, რომ დამდეგი ახალი წელი მიელოცნა, ჭიქა ჭიქაზე მიეჭახუნებინა. ასეც მოხდა. ამ სასიამოვნო ინფორმაციამ მე კიდევ უფრო შემაფიქრიანა: ე.ი. იქ, სადღაც მაღლა, სერიოზულად ფიქრობენ (თუ გადაწყვეტილებაც არ არის მიღებული!), რომ მიხომ არჩევნებში კენჭი იყაროს. როგორი იქნება იმათი რეაქცია, ვისაც მიხომ გზა უნდა გადაუჭრას?

ნიჭიერება და სიკეთე იშვიათად არის დაცული, ნიჭიერება, სიკეთე უმეტეს შემთხვევაში უმეცართა, ბოროტ ძალთა გამოღვიძების და გაშმაგების მიზეზი ხდება. სულ რაღაც ერთ თვეში ასეც მოხდა, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. ახლა კი ისევ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის წინაპირობებს მივუბრუნდეთ:

სანკტ-პეტერბურგში აშშ-დან, ისრაელიდან, ბელგიიდან ჩამოსულ ადამიანთაგან, ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა დავით ქოენმა, რომელსაც ადრე არ ვიცნობდი. იგი კამათში არ ერეოდა, პრობლემებზე მსჯელობისგან თავს იკავებდა, მაგრამ ვგრძნობდი, სათქმელი ჰქონდა.

კონგრესის სამზადისისადმი განსხვავებული დამოკიდებულება გამოავლინა კუსო (მაშინ ასე ვეძახდით) გაბრიელ მირილაშვილმა. იგი ნერვიულობდა კიდეც, არ შეიძლება მიხო კონგრესს ჩაუდგეს სათავეშიო, ამბობდა. იგი სათამაშო ბიზნესს ფლობს და ძალიან დიდი საშიშროების წინაშე დადგებაო. ცხადია, გაბრიელი უკეთ ფლობდა ინფორმაციას რუსეთის რეალობაზე. ამ რეალობიდან ამოდიოდა და შიშობდა. ისრაელიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა სტუმარმა კი კუსოს რეაქცია ძმებს შორის უთანხმოებად მიიჩნია, ე.ი. მისი სიფრთხილის არსს ვერ ჩასწვდა და ეცადა ამით თავად ენახა სარგებელი. რამაც მიხო მირილაშვილის (და არა მხოლოდ მისი!) უკმაყოფილება გამოიწვია.

მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელო დეტალები გახლავთ იმ დიდი საქმისა, რომელიც პეტერბურგში დაიწყო. მიხო მირილაშვილის ამ ინიციატივამ დაადასტურა, რომ ქართველ ებრაელობაში მოვიდა თვისობრივად ახალი თაობა. თაობა, რომელიც საღად აფასებს მოვლენებს და ერი ახალი ზღუდეების დაძლევისაკენ მიჰყავს – ცდილობს გამოავლინოს კავკასიის მთებში მოქცეული პატარა ქვეყნის ებრაელობის ადგილი მსოფლიო ებრაულ მოზაიკაში.

გადავწყვიტეთ, იდეის პრეზენტაცია გამართულიყო თელ-ავივში, 16 იანვარს. რატომ 16 იანვარი? 15 იანვარს შაბთაი ცური 50 წლისა ხდებოდა, განვიზრახეთ მის საიუბილეო საღამოშიც მიგვეღო მონაწილეობა.

სანკტ-პეტერბურგიდან სულიერად ერთობ ღონიერნი წამოვედით.

(გაგრძელება იქნება)

სანკტ-პეტერბურგის დიდ ბეით ქნესეთში

რედაქტორის კუთხე

ბეით ქნესეთების მომავლის თაობაზე

თბილისის დღევანდელ ჯამაათში შეინიშნება ერთი სასიამოვნო ტენდენცია: ბეით ქნესეთში გააქტიურდნენ ახალი სახეები, ახალი თაობის წარმომადგენლები. ეს აქტიურობა საორგანიზაციო საკითხებსაც ეხება, ისინი დეკლარირებენ რომ წესრიგში მოიყვანენ ბეით ქნესეთის საქმეებს. ეს მისასალმებელია, რადგან:

ა. ბეით ქნესეთი თავის წიაღში ყოველთვის უხმობს ისრაელის შვილებს.

ბ. არა მხოლოდ ესენი აძლიერებენ ბეით ქნესეთს, ბეით ქნესეთიც ანიჭებს მათ ძალას, ენერგიას. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდები სადღესასწაულო დღეებში მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენენ ბეით ქნესეთისადმი, ეს კარგად დადასტურდა ამასწინანდელ საშემოდგომო დღესასწაულებზე. სასურველი კი იქნებოდა ეს ყურადღება და მზრუნველობა ყოველდღიური, ქრონიკული გახდეს. ამის დეფლიტი კი ნამდვილად არსებობს.

გ. ბოლო ხანს ბევრი ადამიანი ჩაერთო ბეით ქნესეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხდება დეკლარირება ბეით ქნესეთის ყოფის გაუმჯობესებისა. მიმდინარეობს კიდეც ასეთი პროცესი. დღეს თბილისის ორივე ბეით ქნესეთში შექმნილია ჩინებული პირობები: თუ ადამიანს გულით სურს ღვთისმსახურება, სურვილს არაფერი ეღობება წინ.

დ. ზოგიერთ ებრაულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას გაუჩნდა სურვილი დაეუფლოს საზოგადოებრივ ქონებას, (ამ შემთხვევაში სიტყვა „დაეუფლოს“ არ უნდა იქნას გაგებული ნეგატიურ კონტექსტში – ამ იდეის ავტორებს ამოძრავებთ სურვილი კანონიერ ჩარჩოებში მოაქციონ ბეით ქნესეთის სტატუსი), ვფიქრობთ, არ იქნებოდა ურიგო, თუ პარალელურად გაჩნდებოდა ასე ვთქვათ, „საზოგადოებრივი თვალი“. ვგულისხმობთ საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა-დაფიქსირებას, აზრისა, რომელიც შეაფასებს მიმდინარე მოვლენებს – ახალი, წარმოქმნილი იდეების რაობას, იმას, თუ ჯამაათის მომავლისათვის რამდენად სასარგებლოა, ის, რასაც ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჩაიფიქრებს, დაგეგმავს: რას მისცემს იგი ჯამაათს, რას მოუტანს ხვალ საქართველოს ებრაელობას, ან თუნდაც, ამ მოსაზრებაში რაიმე კორექტივებს შეტანის, მისი დახვეწის მიზნით.

აქედან გამომდინარე განიხილება საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს ბეით ქნესეთების იურიდიული კუთვნილების სტატუსი — რომელი ორგანიზაციის ჭერქვეშ უნდა გაერთიანდეს საქართველოს მოქმედი, თუ უმოქმედო (იმ დაბა-ქალაქებში, რომლებშიც ებრაელობა აღარ სახლობს) ბეით ქნესეთები. ის, თუ რომელი ორგანიზაციის ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს ბეით ქნესეთები, ძალზე გულდამჯდარი, სერიოზული განსჯის თემა გახლავთ.

საუბრობენ იმის თაობაზე, რომ სინაგოგები საქართველოს ებრაელთა კავშირის გამგებლობაში უნდა მოექცესო. დღევანდელ საქართველოში კი სამი თუ ოთხი ამგვარი ორგანიზაციაა დაფუძნებული. ეს ორგანიზაციები ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა. „მენორა“ ადრეც მიესალმა და კვლავაც მიესალმება საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნას, მიესალმება ამ კავშირებსაც, პარალელურად კი სვამს საკითხს იმის თაობაზე, თუ რატომ, რის გამო უნდა ეკუთვნოდეთ სინაგოგები ამა თუ იმ კავშირს.

საქართველოს ებრაელთა არსებულ კავშირებს, ჯერ არაფრით გამოუჩენიათ თავი, არაფერი განსაკუთრებული ქართველი ებრაელობისათვის არ გაუკეთებიათ, რომ ებრაელობამ თავისი უმთავრესი ნაგებობების—უწინარესი სიმდიდრის პატრონობა მიანდოს.

არავინ იფიქროს, ამ საკითხს იმისთვის ვსვამთ, რომ ეჭვი გვეპარება ამ ორგანიზაციების თავკაცების ზნეობრიობაში. არა! ბეით ქნესეთების მომავალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი კავშირი, თუ მისი თავკაცების საქმიანობის ავ-კარგი, ან ამა თუ იმ პირის, გნებავთ რედაქციის მიერ მათი რაობის შეფასება. ჩვენ არ ვიცით 5-10 წლის შემდეგ ვინ მოექცევა კავშირების ხელმძღვანელობაში — რაგვარი შეხედულებისა და ინტერესების ადამიანები და როგორი იქნება მათი დამოკიდებულება ამ ძვირფასი მემკვიდრეობისადმი. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება: ებრაული თემის წევრი, ებრაელი კაცი, თუ როგორ დადიოდა პეტიციით ხელში და ებრაელებს როგორ აწერინებდა ხელს პეტიციაზე პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე სინაგოგა არ გვჭირდება და სხვას გადავცეთო.

ისიც კარგად გვახსოვს, სრულიად ახლო წარსულში დიდ ბეით ქნესეთში როგორ დაიკარგა რამდენიმე სეფერთორა.

ვინ შეიძლება იყოს იმის გარანტი, რომ ახლო თუ შორეულ მომავალში, გნებავთ მერე, ასეთი რამ არ განმეორდება?

მაშ, ვინ უნდა გველინებოდეს ჩვენი უმთავრესი სიმდიდრის პატრონად?

ამ საკითხის განსჯისას უმთავრესი უნდა იყოს ამა თუ იმ ორგანიზაციის ბიოგრაფია, გამოცდილება, საქმიანობის მასშტაბი, სანდოობა, ის, თუ რა ადგილი უჭირავს მას თანამედროვე ებრაულ სამყაროში, როგორი რეპუტაციით სარგებლობს. ასე რომ ჩვენ უნდა გვქონდეს სრული გარანტია: ორგანიზაცია ბეით ქნესეთებზე მზრუნველობას გამოიჩენს, მოუვლის და ისევე გადასცემს მომავალ თაობას, როგორც ჩვენ გადმოგვცეს წინაპრებმა. ვის შეიძლება ვანდოთ ჩვენი უმთავრესი რელიკვია?

რასაკვირველია, ჩვენი პასუხი არ იქნება უალტერნატივო. ეს შენიშვნა იმიტომ იწერება, რომ ჯამაათის წევრებმა ამ საკითხზე იფიქრონ და თავიანთი მოსაზრება გამოსთქვან. ჩვენ მხოლოდ საკარაუდო სიის წარმოდგენა ძალგვიძს, სხვები — სხვა მოსაზრებას წამოაყენებენ და ალბათ, ეს გახდება გონივრული გადაწყვეტილების სათავე:

არსებობდა და ალბათ, დღესაც არსებობს საქართველოს მორწმუნე ებრაელთა საზოგადოება, რომელსაც ტრადიციულად მთავარი რაბინი, ან ქართველ ებრაელთა დიდი — ახალციხელების სალოცავის გაბაი ხელმძღვანელობდა. ალბათ, სწორედ ეს რელიგიური ორგანიზაცია უნდა აერთიანებდეს სალოცავებს — ის ხომ რელიგიური ხასიათისაა. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. ხოლო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე მიდგება საქმე, უფრო სოლიდური, ავტორიტეტული ორგანიზაცია ხომ არ აჯობებდა, ორგანიზაცია, რომელმაც თავისი მოღვაწეობით, ბიოგრაფიით მოიპოვა ავტორიტეტი. დღეისათვის ასეთად საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი მიგვაჩნია. სემ კონგრესი მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ებრაელობის მეთაური საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ამათ გარდა, არსებობს ერთობ სოლიდური, მსოფლიო მასშტაბის ებრაული ორგანიზაცია „ჯოინტი“, რომელსაც საქართველოს ებრაელობისათვის (და არა მხოლოდ საქართველოსი!) დიდი სამსახური გაუწევია. მას მსოფლიოს ებრაელობა უწევს ანგარიშს.

ჩვენ საკითხს ვსვამთ, მთავარი მაინც არის ის, თუ რა გზას აირჩევს ჯამაათი — ვის მიანდობს მამა-პაპის მონაგარის პატრონობას.

ეს ის საკითხია, რომელსაც დიდი ყურადღება სჭირდება, ამიტომ საზოგადოებრიობამ უნდა იმსჯელოს ამ პრობლემაზე. მით უმეტეს მაშინ, როცა გრძელდება საქართველოს ებრაელობის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პროცესი—საქართველო თანდათან იცლება ებრაელთაგან. რა დემოგრაფიული, სოციალური რეალობა შეიქმნება 10-15 წლის შემდეგ? ჩვენ დღესვე უნდა გვქონდეს მიახლოებითი წარმოდგენა იმაზე, მომავალში ვის ხელში აღმოჩნდება მამა-პაპათა ნაღვაწი.



შაბათის წმიდაყოფის რიტუალი

ადინ შტეინზალცი

შაბათის დადგომის დრო, ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, არის არა მხოლოდ დასვენების მაუწყებელი, არამედ მას განსაკუთრებული, მეტად მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება. პარასკევს, ნაშუადღევის შემდეგ, ყოველი საათი მოასწავებს კვირის ექვსი სადაგი დღიდან წმინდა, მეშვიდე დღისაკენ გადასვლის დაძაბულ მოლოდინს; ხოლო საღამოს დადგომისთანავე დგება სადაგიდან დღესასწაულზე, უქმეზე გადასვლის კულმინაციური მომენტი. ეს უკანასკნელი საფეხურია ყოფიერების იმგვარ დონეზე ასვლის პროცესში, რომელიც აღმატებულია შრომის ექვს დღეზე და საზოგადოდ, თვით დროზეც.

შაბათის ეს დიდებული თვისება დაკავშირებულია სფირა მალხუთის ღვთაებრივ გამოვლინებასთან, რაც შეხინას წარმოადგენს. სფირა მალხუთი აერთიანებს ყველაფერს, და ამდენად, მომხდარ მოვლენათა თავისებურ საცავად გვევლინება; გარდა ამისა, იგი დაკავშირებულია პირველ სფირასთან — ქეტერთან (გვირგვინი). აქედან გამომდინარეობს შაბათის საღამოს ორგვარი მნიშვნელობა: ერთი მხრივ, ეს ადამიანის მთელი საქმიანობისა და ყველა იმ მოვლენის შეჯამებაა, რაც განვლილი კვირის განმავლობაში მოხდა, და ამ თვალსაზრისით, სფირა მალხუთის გამოვლინებაა; მეორე მხრივ კი — ეს ახალი კვირის ჩასახვაა, და ამგვარად სფირა კეტერის გავლენა მჟღავნდება. სფირა მალხუთი — ანუ შეხინა — ჩვენს სამყაროში ღვთაებრივი ნების გამოვლინებაა. შეხინას 70 სახელი აქვს, რომელთაგან თითოეული გამოხატავს ყოვლისმომცველი სფირა მალხუთის განსაკუთრებულ თვისებას, რამეთუ კვირის 7 დღე შეესაბამება შვიდ სფირას: გვურა (ძლევამოსილება, შეზღუდვა, ფორმის მიცემა), ხესედ (სიკეთე, გულმოწყალება), ტიფერეთ (მშვენიერება, ჰარმონია, დიდებულება), ჰოდ (ბრწყინვალება, წინააღმდეგობის გაწევა), ნეცახ (მარადისობა, ნებისყოფა, გამარჯვებისაკენ სწრაფვა), იესოდ (საფუძველი) და მალხუთი (სამეფო ანუ სამყარო);

ამავე დროს სფირა მალხუთი წარმოადგენს ყველა აღნიშნული სფირის გამოვლინებას, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ ათ სფირას მოიცავს. ამგვარად, სფირა მალხუთი სამოცდაათი მათგანის შეხამებად წარმოგვიდგება. ამიტომ რიცხვი „70“(სამოცდაათი) განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს შაბათის შეხვედრის რიტუალში.

შეხინას ყველანაირ გამოვლინებას მისთვის დამახასიათებელი ერთი განსაკუთრებული თვისება აერთიანებს: ყოველ მათგანში განსახიერებულია ქალური საწყისი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შაბათის შეხვედრის რიტუალის სიმბოლოები ქალურ ბუნებასთანაა დაკავშირებული. ეს კი ხაზს უსვამს ქალის როლს, ერთი მხრივ, როგორც ქალური საწყისის განსახიერებას, რაც სამყაროთა სისტემისათვის არის დამახასიათებელი, და მეორე მხრივ, უბრალოდ, როგორც ებრაული ოჯახის დიასახლისისას.

შაბათის დადგომის წინ ადვილი შესამჩნევია, თუ როგორ გარდაიქმნება სახლი ტაძრად. მაგიდაზე დებენ თეთრ საშაბათე ხალებს, რაც იმ 12 პურის სიმბოლოს წარმოადგენს, რომლებსაც ტაძარში აწყობდნენ; ანთებული სანთლები ტაძრის მენორას მოგვაგონებენ; თვითონ მაგიდა კი სამსხვერპლოს მაგვარს წარმოადგენს, რამეთუ საჭმლის მიღება ზვარაკის მიტანას ემსგავსება, — ტრა-

ფიქრები

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

აბიშაი ბათაშვილი

ჩვენს ფარაშაში თორა მოგვითხრობს, რომ იცხაკ ავინუ სიბერის ჟამს დაბრმავდა „და იყო, რამეთუ მოხუცდა იცხაკი და თვალის ჩინი დააკლდა“. რატომ დააკლდა თვალის ჩინი? არ ირკვევა, რომ ეს სიბერისგან იყო გამოწვეული, რადგან იმ პერიოდში მისი ასაკის ადამიანი ჯერ ისევ ჯანზე იყო. ვერც სხვებთან ვნახეთ, რომ თვალის ჩინი დააკლდათ.

უფრო მეტიც: მანამდე თორა მოგვითხრობს, რომ უფალმა ღმ-თმა აკურთხა იგი: „და აკურთხა ღმ-თმა იცხაკი“. რა თქმა უნდა, რომ უფალი ღმ-თის კურთხევამ თავიდან უნდა ააცილოს სნეულებანი და სიბერის გამო გამოწვეული ტანჯვა-წვალება. მით უმეტეს, სიბრმავის მდგომარეობა. მაშ რატომ დააკლდა თვალის ჩინი იცხაკ ავინუს?

ჩვენ ნეტარხსენებულ ბრძენებს რამდენიმე ვარაუდი მოჰყავთ. მიდრაში ბრძანებს, რომ იმ დროს, როდესაც აბრაჰამმა მის ვაჟიშვილს, იცხაკს ხელ-ფეხი შეუკრა სამსხვერპლოზე, როგორც მას ღმ-თმა უბრძანა, ანგელოზებმა ტირილი დაიწყეს და თქვეს კურთხეული გამ-ნის წინაშე: როგორ შეიძლება მამას საკუთარი შვილის საკუთარი ხელით მოკვლა დაევალოს. მათი ცრემლები იცხაკს თვალებზე დაეცა და ამიტომ დააკლდა თვალის ჩინი.

შემდეგი განმარტება: „კურთხეულმა გამჩ-ენმა იცის, რომ იცხაკს უყვარს ესავი და უნდა ეკურთხებინა იგი. კურთხეულმა გამჩენმა თქვა: „აი, მე თვალის ჩინს ვაკლებ მას, რათა ვერ იხილოს ვის აკურთხებს, რათა ააკოვმა მიიღოს კურთხევები“.

ესე იგი, იცხაკის სიბრმავე იმისათვის იყო გამიზნული, რომ ააკოვისთვის საშუალება მიეცა ესავისთვის კურთხევა წაერთმია. იცხაკი სხვა ადამიანებივით თვალხილული რომ ყოფილიყო, ესავს აკურთხებდა. ამ-ტომ კურთხეულმა გამჩენმა მას თვალ-ის ჩინი წაართვა, რათა არ ეხილა თუ ვის აკურთხებდა. მაშინ კი შესძლებდა ააკოვი მი-სგან კურთხევების მიღებას.

მაგრამ აქ უბრალო კითხვა ისმის: ააკოვის-თვის კურთხევის წართმევა რომ ეღირსებინა, კურთხეულ გამჩენს არ სჭირდებოდა იცხაკისთვის თვალის ჩინის წართმევა. თი-თქოს უფრო ადვილი რამის გაკეთება შეეძლო „იცხაკისთვის გაემხილა ესავის ნამდვილი არსი, რომ ბოროტი იყო ის, რის შედეგადაც იცხაკი თავისთავად გადასცემდა ააკოვს კურთხევებს!

სინამდვილეში, ამის გამხელას არ უნდა განეცვიფრებინა იცხაკი, რადგან ის უკვე იცნობდა ესავის ცოლებს, რომლებიც უცხო კერპებს ემსახურებოდნენ. ის ფიქრობდა, რომ ესავი დამნაშავე არ იყო მათ საქმიანობაში და არც მათზე გავლენის მოხდენა შეეძლო. მაგრ-ამ თვით ამ ფაქტს რაიმე შეშფოთება უნდა გამოეწვია მასში. იცხაკმა თვით ესავშიც შე-ამჩნია, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო მასში, როგორც თქვა: „ესავს ჩვევად არა აქვს ღმ-თის სახელის ხსენება“. თუ ასეა, კურთხეულ ღმ-თს შეეძლო სიმართლე გაემხილა მისთვის ესავზე და მას აზრადაც არ მოუვიდოდა მისი კურთხევა.

ამის პასუხია: კურთხეული გამჩენს არ სურს ბოროტ ესავზე ავი სიტყვის თქმა. ასე მოგვითხრობს გემარა, რომ როდესაც ყაქანმა იეჰოშუყას დროს შესცოდა, იეჰოშუყამ ჰკითხა კურთხეულ ღმ-თს: „და რამეთუ ვაბეზღებ შენთან?!“ ამიტომ კურთხეულ გამჩენს ესავ-ისთვის კურთხევა მიცემა რომ აეცილებინა თავიდან, სხვა შესაძლებლობა არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ თვალის ჩინი წაერთმია იცხაკისათვის.

ამით ჩვენ უნდა ვისწავლოთ შემდეგი: კურთხეული გამჩენი თვით ბოროტი ესავის შესახებაც თუ არ არის მზად ავი სიტყვა თქვ-ას, მით უმეტეს, არც ჩვენ უნდა წარმოვთქვათ ავი სიტყვა ნებისმიერ ებრაელზე. რამეთუ თორის ბოძების დროს კურთხეულმა გამჩენმა უთხრა ყოველ ებრაელს: „მე ვარ უფალი შენი ღმ-თი“, და გააძლიერა, რომ „მე ვარ უფალი“ ყოფილიყო „შენი ღმ-თი“, შენი ძალა და შენი სიცოცხლისუნარიანობა. ამიტომ უნდა გავფრთხილდეთ, რომ არცერთ ისრაელის შვ-ილზე ავი სიტყვა არ ვთქვათ.

პეზის მიზანი უზენაესის მსახურებისათვის ახალი ძალებით აღვსებაა. ისევე როგორც ზვარაკის მი-ტანა, იგი ასახავს კავშირს მატერიალურსა და სუ-ლიერს შორის. და ეს მსგავსება განსაკუთრებული ძალით მჟღავნდება შაბათ დღეს, როდესაც სადღე-სასწაულო ვახშამი წმინდა მსახურებად იქცევა, აერთიანებს რა მცნების შესრულების პროცესში მატერიას და სიწმინდეს. ტრაპეზის დროს მაგიდ-აზე მარილი უნდა იდოს, რამეთუ იგი ყოველთვის იდო ტაძრის საკურთხეველზე ნიშნად იმისა, რომ კავშირი უზენაესსა და მის ხალხს შორის მარადი-ულია. (მარილი არ ფუჭდება და გამოიყენება სხვა პროდუქტების კონსერვირებისათვის, ამიტომ იუდაიზმში იგი წარმოადგენს საიმედოობისა და მარადიულობის სიმბოლოს).

სანთლები, რომლებსაც ოჯახის დიასახლისი შაბათის სიწმინდის ნიშნად ანთებს, წარმოადგენს იმ სულიერი სინათლის განსახიერებას, რასაც ეს დღე ატარებს თავის თავში; ამასთანავე, ისინი ხაზს უსვამენ ქალის განსაკუთრებულ როლს, რო-მელიც სფირა მალხუთის, შეხინის სიმბოლოდ წარ-მოგვიდგება. მაგიდაზე ძევს ორი ხალა (ზოგიერთ ოჯახში თორმეტ ხალასაც აცხობენ), რომლებიც, ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, ზეციურ პურსაც მოგვაგონებენ: უდაბნოში ებრაელთა ხე-ტიალის დროს მანი (ციური მანანა) შაბათის გარდა ყოველდღე გარდმოდიოდა ზეციდან, პარასკევს კი — ორმაგი ოდენობით. ხალებზე გადაფარებული ხელსახოცები ზეციურ ნამს მოგვაგონებენ, რო-მელიც გარდმოვლენილ მანს ჰფარავდა. შაბათის წმინდაყოფის რიტუალის, კიდუშის, აღსრულე-ბამდე, მღერიან სიმღერას, რომელიც მრავალი ღირსებით შემკულ ქალს განადიდებს. ერთი მხრივ, ეს ჰიმნია, აღვლენილი ოჯახის დიასახლისის პა-ტივსაცემად, მეორე მხრივ კი — ქება-დიდებაა, მიძღვნილი შეხინისადმი, სფირა მალხუთისადმი, რომელიც სამყაროში ქალური საწყისის გამოვ-ლინებას წარმოადგენს.

შემდეგ დავიდის ერთ-ერთ საგალობელს კითხ-ულობენ, რომლის ძირითადი მოტივი — უზენ-აესის დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანის მშვიდი გულდაჯერებულობაა. მერმედ კი იწყება კიდუშის ცერემონია.

ჰალახის თვალსაზრისით, კიდუში უზენაესის მიერ აღთქმის დაფებზე გამოსახული ათი მცნებიდან მეოთხის შესრულებას წარმოადგენს: „გახსოვდეს დღე შაბათისა და წმინდაჰყავ იგი.“ ამიტომ შაბათის დაწყებისთანავე უნდა შესრულ-დეს გამოყოფის, განწმენდის აქტი, რომელიც მო-წოდებულია ხაზი გაუსვას განსხვავებას კვირის სადაგ დღეებსა და წმინდა დღეს შორის, — განსაკუთრებული ქმედებაა, რომელსაც სული ამაღ-ლებული სიმშვიდისა და სიწმინდის გამორჩეული აღქმის მდგომარეობამდე აჰყავს. ვინაიდან იუდა-იზმში არსებობს ზოგადი პრინციპი: ყველაფერი, რაც სულიერების სფეროს შეეხება, შეძლების-დაგვარად უნდა იქნას დაკავშირებული განსაზ-ღვრულ, კონკრეტულ მოქმედებასთან, — ამიტომ კიდუშის დროს ჩვენ ღვინოს ვსვამთ და ეს მოგვა-გონებს შაბათობით ტაძრის სამსხვერპლოზე ზვარაკის მიტანის დროს ღვინის შესხურების ცერ-ემონიალს.

კიდუშის ჭიქა ჩვენი სამყაროს სიმბოლოა, რო-მელიც მსგავსად ჭურჭლისა, კურთხევას ღე-ბულობს. სიტყვის ქოს (ბოკალი) რიცხვითი მნიშ-ვნელობა (გიმატრია) იგივეა, რაც უზენაესის სახელისა — „ელკიმ“, რომელიც აღნიშნავს ღვ-თაებრივის გამოვლინებას მატერიალურ სამყარო-ში. ბოკალში ისხმება ღვინო, რაც გულუხვობის, ბარაქისა და კურთხევის სიმბოლოა. სიტყვის იაინ (ღვინო) გიმატრია— სამოცდაათია; ესაა რიცხვი, რომელიც შაბათ საღამოსთანაა დაკავშირებული. წითელი ღვინო, სხვათა შორის, მკაცრი სასამართ-ლოს სიმბოლოცაა — განსაკუთრებით კი სფირა გვურასი. მას შემდეგ, რაც ბოკალი შეივსება, მასში მცირე რაოდენობით წყალს ამატებენ, რომელიც სფირა ხესედის — სიყვარულისა და გულმოწყ-ალების სიმბოლოა. მიღებული ნარევი განასახ-იერებს ჰარმონიასა და თანასწორობას სფიროებს — ხესედსა და გვურას შორის. სავსე ბოკალს ათ-ავსებენ მარჯვენა ხელისგულზე, ქვემოდან შე-მოაჭდობენ ხუთ თითს ისე, რომ ბოკალი ემსგავსე-ბა „ვარდს ხუთ ფოთოლაკზე,“ ვარდი კი სფირა მალხუთის, შეხინის, ერთ-ერთი სიმბოლოა. და აქ უკვე დგება თვითონ კიდუშის ლოცვის წარმოთქ-მის მომენტი.

კიდუში ორი ნაწილისაგან შედგება. თავდა-პირველად კითხულობენ იმ ნაწყვეტს თორიდან („ბერეშითი“, 2:13), სადაც პირველად მოიხსენიება შაბათი, შემდეგ კი გადადიან მეორე ნაწილზე, — ლოცვაზე, რომელიც სპეციალურადაა შედგე-ნილი ბრძენი სწავლულების მიერ შაბათის კიდუ-შისათვის. ამ ორ ნაწილს შორის წარმოითქმება კურთხევა ღვინოზე. კიდუშის თითოეული ნაწილი შედგება 35 სიტყვისაგან, რაც ჯამში იძლევა რიცხვ სამოცდაათს, დაკავშირებულს შაბათ-საღამოსთან. თორის ნაწყვეტის წაკითხვის წინ ამბობენ სიტყვებს — „დღე მეექვსე“, რომლითაც მთავრდება წინა ლექსი (ფასუკი), რამეთუ ეს სი-ტყვები აზრობრივად დაკავშირებული არიან წარ-მოსათქმელ ნაწყვეტთან; მეორე მიზეზი ამისა ისაა, რომ აღნიშნული სიტყვების პირველი ასოები შეადგენენ უზენაესის ერთ-ერთ წმინდა სახელს. კიდუშის პირველ ნახევარში ლაპარაკია შაბათის, როგორც ქმნადობის შემაჯამებელი დღის შესახებ, დღისა, როდესაც ღმ-თი სიმშვიდეში იმყოფებოდა.

კიდუშის მეორე ნაწილში, რომელიც ბრძენმა სწავლულებმა შეადგინეს, საუბარია იმის შეს-ახებ, რომ უზენაესმა უბრძანა, უანდერძა ის-რაელს წმინდადყოფა შაბათისა, რაც მის მიერ სა-მყაროს შექმნის სიმბოლოა; იგი იწყება სიტყვებით „კურთხეული ხარ შენ... რამეთუ განგვწმინდე ჩვენ შენი მცნებებით...“, რამეთუ მცნების შესრულება — ეს არის გზა სიწმინდისაკენ, გზა ღმ-თისაკენ. ლოცვაში ასევე საუბარია ისრაელის გამორჩეუ-ლობაზე, ეგვიპტიდან გამოსვლაზე; მასში შაბათი გაიგივებულია მონობიდან ღვთაებრივ გამოხსნას-თან. ასე რომ შაბათი — თავისუფლების დღეცაა, გამოხსნის ზეიმია, იგი მოასწავებს იმ ხსნას, რო-მელიც გამოსყიდვის მომავლიდან და ტრადიციის მიხედვით „სამყაროს შაბათად“ მოიხსენიება.

სწორედ ამაშია ადამიანის მისია და მოვალეობა უზენაესის წინაშე: გააგრძელოს სამყაროს შექმნა, ხოლო შემდეგ ამაღლდეს მასზე შაბათის სიმშ-ვიდეში. კიდუში მთავრდება კავშირის შეხსენებით ისრაელსა და შაბათ, დღეს, რომელიც გამჩენმა აკურთხა, — შორის. კიდუშის დამთავრების შემ-დეგ ცერემონიის შემსრულებელი მოსვამს ღვი-ნოს, განასახიერებს რა ამით ფიზიკურისა და სუ-ლიერის ერთიანობას, რაც რიტუალის დედაარსს წარმოადგენს; შემდეგ ამ ჭიქიდან რიგრიგობით მოსვამს სუფრის ყველა წევრი, დიადი წმიდაყოფის — შაბათში შესვლის ყველა მონაწილე შაბათისა, რომლის სიმბოლო გაშლილი ვარდია: პიროვნების და ხალხის და მთელი სამყაროს ხსნის თასი!

თარგმანი
ე. თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილისა
და ზ. დავარაშვილისა

პრემიერა კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრში

23, 24, და 28 ოქტომბერს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახ. აკადემიურ თეატრში გაიმართა გურამ ბათიაშვილის ახალი პიესის „კოტე მარჯანიშვილი“ („მოქმედი პირნი და შემსრულებელნი“ პრემიერა.

პიესაში ასახულია კ. მარჯანიშვილის მიერ ქუთაისი-ბათუმის, შემდგომში თბილისის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის შექმნის რეალიები, ბოლო წლებში კ. მარჯანიშვილისა და მსახიობთა ერთი ჯგუფის რთული ურთიერთობა, კ. მარჯანიშვილის წასვლა თეატრიდან.

„მოქმედი პირნი და შემსრულებელნი“ გახლავთ გ. ბათიაშვილის მეორე პიესა გენიალურ ქართველ რეჟისორზე. პირველი პიესა „მარჯანიშვილის ოთხი დღე“ დაიდგა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრში ჯერ კიდევ 1972 წელს.

„კოტე მარჯანიშვილის“ დამდგმელი რეჟისორები არიან ლევან წულაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი, მხატვარი შმაგი სავანელი, კოსტიუმების მხატვარი ნინო სურგულაძე, მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილი, ქორეოგრაფი გია მარღანია, რეჟისორის თანაშემწე ნინო ჟორჟოლიანი.

სპექტაკლში კოტე მარჯანიშვილის როლს ასრულებს აკაკი ხიდაშელი.

თეატრის ამ სპექტაკლში როლებს ასრულებენ: ეკა ჩხეიძე, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, ლილე ფილფანი, ლიკა ქობულაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ვარლამ კორშია, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა, ქეთი ცხაკაია, ეკა მჟავანაძე, ონისე ონიანი, დავით ხურცილავა, გურამ ჯაში, მაია ფაჩუაშვილი, მაია კაციტაძე, ანა სანაია, ალექსი გეწაძე, ზაზა გოგუაძე, ეკა მახარობლიშვილი, გოგი გუგუჩია.

სპექტაკლი მაყურებელმა ერთობ გულთბილად მიიღო. მისი სიცოცხლე გრძელდება.

ობამას არჩევის გამო

ისრაელელების 37% იმედგაცრუებულია ბარაკ ობამას ხელმეორედ არჩევის გამო და ისრაელელების ამდენივე პროცენტი ამ მოვლენის მიმართ გულგრილია.

ეს შედეგები როგორც „კურსორი“ იტყობინება მიღებულ იქნა მეათე არხის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით. გამოკითხულთა მხოლოდ 25%-მა გამოთქვა კმაყოფილება იმით, რომ ობამა მეორე ვადით აირჩიეს. გამოკითხულთა 68% თვლის, რომ ეს არჩევნები ისრაელისა და აშშ-ს ურთიერთობებზე არ იმოქმედებს. ობამას ხელმეორედ არჩევას ნეთანიაჰუსადმი მათ დამოკიდებულებაზე არ უმოქმედია, თუმცა, ამავე დროს გამოკითხულთა 22%-მა განაცხადა, რომ მათ თვალში მისი „ღირებულება“ ობამას არჩევის შემდეგ დაეცა.

შეგახსენებთ, რომ 70%-ზე მეტმა ამერიკელმა ებრაელმა ობამას მისცა ხმა. ამავე დროს, ისრაელში მცხოვრები ამერიკელების 85%-მა მით რომანს დაუჭირა მხარი.

ნაციონალური ბანაკი 69 მანდატს მიიღებს

როგორც ინსტიტუტ „მააგარ მოხოთის“ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ამტკიცებს, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, დღეს ისრაელში არჩევნები რომ ჩატარდეს, ქნესეთში პარტიები შემდეგნაირად გადანაწილდებოდნენ: ლიკუდ-ჩსი მიიღებდა 39 მანდატს, ავოდე — 22 მანდატს, შასი — 14, არაბული პარტიები — 10, ებრაული სახლი ნაფტან ბენეტის ხელმძღვანელობით — 7, თორის ებრაელობა — 6, აცმაუთი (იეჰუდ ბარაკის პარტია) — 3, კადიმა — 3, მერეცი — 3 მანდატს.

საბოლოოდ, ნაციონალური ბანაკი 69 მანდატს მიიღებდაო.

40%-მა თქვა, რომ ძალიან კმაყოფილია იეჰუდ ბარაკის მოღვაწეობით თავდაცვის მინისტრის პოსტზე, 30% - უბრალოდ კმაყოფილია, 30% კი - უკმაყოფილოა.

56%-მა განაცხადა, რომ ბარაკ ობამას მეორე ვადით არჩევა პრემიერ-მინისტრის ბინიამენ ნეთანიაჰუს პოზიციებს ასუსტებს. 11% თვლის, რომ ამას არ აქვს მნიშვნელობა.

და-ძმა

როგორც AEH იტყობინება, ბელგიის ებრაული სათემოს ყოველთვიურ გაზეთში გამოქვეყნდა იან მაესის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ შეიფარა ბელგიის მთავარი ფაშისტის — ლეონ დეგლერის დამ ებრაელი გოგონა ჰანა ნადელი დედასთან და დეიდაშვილთან ერთად.

ქალბატონ კორნეს სახლში დევნილები შემთხვევით მოხვდნენ — როდესაც დაბომბვას გამოექცნენ უცხო სახლში დააკაკუნეს და დახმარება ითხოვეს.

კარი ქალბატონმა კორნემ გააღო და როდესაც მიხვდა, რომ ებრაელი ქალბატონს ბავშვებთან ერთად თავშესაფარი სჭირდებოდა, სახლის სარდაფში გადამალა.

აღნიშნულ სახლში ხშირად სადილობდნენ დიასახლისის ფაშისტი ძმა და მისი მეგობრები. ამ საშიშ დროს ებრაელები სარდაფში იმალებოდნენ.

ჰანა და დედამისი ბელგიელი ფიურერის დის სახლში ომის დასრულებამდე დარჩნენ, შემდეგ კი პალესტინაში გაემგზავრნენ.

ლეონიდ დეგლერი ესესის დივიზიაში ოფიცრად მსახურობდა ომის შემდეგ კი ნიურბერგის სასამართლოს ესპანეთში გაექცა. ბელგიის მოთხოვნის მიუხედავად, დიქტატორმა ფრანკომ სამხედრო დამნაშავის გადაცემაზე უარი განაცხადა.

მოშე კანტორი ევროპელ ებრაელთა კონგრესის მეთაურად აირჩიეს

7 ნოემბერს ბრიუსელში ევროპის ებრაული სათემოების წარმომადგენლებმა ევროპის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი აირჩიეს.

როგორც ჟთ იტყობინება, ეეკ-ის მოქმედი პრეზიდენტი მოშე კანტორი ხელმეორედ ოთხი წლის ვადით აირჩიეს. გენერალურ ასამბლეაზე მას მხარი 86 წარმომადგენლიდან 60-მა დაუჭირა.

საფრანგეთის ებრაული სათემოების პრეზიდენტს რიჩარდ პრასკის 22 დელეგატმა მისცა ხმა.

ჯოინთის ფილიალი საქართველოში, ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელის

მეირ ზიზოვის

გარდაცვალების შესახებ და უთანაგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.



საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედი ელიაჰუ“, მწუხარებას გამოთქვამს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინთი“-ს ყოფილი წარმომადგენლის საქართველოში, ბატონ

მეირ ზიზოვის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი გამოსთქვამს ღრმა გულისტკივილს

მეირ ზიზოვის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მენახემ ელაზარი გულისტკივილით იუწყება საქართველოში „ჯოინთის“ ყოფილი წარმომადგენლის

მეირ ზიზოვის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულისტკივილით იუწყება საქართველოში „ჯოინთის“ ყოფილი წარმომადგენლის

მეირ ზიზოვის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქეთევან კიკნაძე, გიგა ლორთქიფანიძე, გოგი ქავთარაძე, გურამ ბათიაშვილი გულისტკივილით იტყობინებიან ისრაელში ქართული თეატრის ამაგდარის, რეჟისორისა და მსახიობის, მეგობარი ხელოვანის

არკადი წიწუაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003